



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 21




2013 წლის 8 თებერვალი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბერის #233 განკარგულებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი
პროგრამის დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #233 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

დაგეგმილია, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სფეროში 13 არასამეწარმეო იურიდიული პირის _ (№1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 საბავშვო ბაღების) ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქ.ხაშურში განთავსებულია №1---№8 საბავშვო ბაღები, №9 _ დაბა სურამში, №10 _ სოფელ ცხრამუხაში, №11 _ სოფელ გომში, №12 _ სოფელ ოსიაურში, №13 _ სოფელ ალში.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა თანადაფინანსებას სასწავლო პროცესში და დაფინანსებას არასასწავლო პერიოდშიც, თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

პროგრამის ხანგრძლივობა

2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო 640200 ლარი, რაც გათვლილია 1067 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მონაცემები გასულ წელს სამუშაო თვეებში ბავშვთა ფაქტიური დასწრების სიდიდის შესახებ, ხოლო თუ მოხდა ბავშვთა რაოდენობის 20%-ით შემცირება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

_მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურეობის ხელმისაწვდომობა.

_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

_სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

№	აღსაზრდელოთა რაოდენობა	ვაუჩერის რაოდენობა თვეში	სუბსიდია თვეში	სუბსიდია სულ წელიწადში	სუბსიდია სულ წელიწადში
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #1	142	50	7100	85200
2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #3	103	50	5150	61800
3	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #4	139	50	6950	83400
4	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #5	155	50	7750	93000
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #6	99	50	4950	59400
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #7	140	50	7000	84000
7	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #8	46	50	2300	27600
8	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #9	102	50	5100	61200
9	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #10	38	50	1900	22800
10	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #11	24	50	1200	14400
11	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #12	38	50	1750	22800
12	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #13	41	50	2050	24600
	სულ	1067		53200	640200